

შპს „შვიდი ვაინ“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "შვიდი ვაინ"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
		ერთეული: 1 GEL		
	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	535975	1671484	1888465	
სავაჭრო მოთხოვნები	1123491	1273758	1110917	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	12062	37860	33271	
მარაგები	2238744	2174868	1211540	3.1
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	2238744	2174868	1211540	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	637	91839	5708	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	176	880	1584	
ძირითადი საშუალებები	141140	31737	14624	3.2
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	4052225	5282426	4266109	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	1617906	2222966	1612959	3.3
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2692	7782		3.4
საგადასახადო ვალდებულებები	672	37901	23070	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	102019	52199		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	931155	120744		3.5
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	1500000	78000	270050	3.6
სულ ვალდებულებები	4154444	2519592	1906079	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-102219	2762834	2360030	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	-102219	2762834	2360030	3.9
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4052225	5282426	4266109	
მოკლევადიანი აქტივები, სულ:	1672165	3074941	3038361	
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	4154444	2519592	1906079	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2021 წ.				
დირექტორი _____ მალხაზ ტვილდიანი				
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "შვიდი ვაინ" 2020			
საქმიანობის შედეგები			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2020	2019	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	6446671	7232138	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	6445603	7198824	
- მომსახურების გაწევიდან	1068	33314	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-4837911	-5369222	3.7
საერთო მოგება	1608760	1862916	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1798056	-426420	
ცვეთა და ამორტიზაცია	-10401	-5103	
საპროცენტო შემოსავალი	2543	3432	
საპროცენტო ხარჯი	-24361	-7297	
იჯარის ხარჯი	-116323	-88293	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-90713	-103451	3.8
სულ საოპერაციო ხარჯები	-2037311	-627132	
საოპერაციო მოგება	-428551	1235784	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-455569	-48720	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	72736	17273	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-811384	1204337	
მოგების გადასახადის ხარჯი	-52941	-16165	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-864325	1188172	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რევერსი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-864325	1188172	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2762834	2360030	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2000000	-800121	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-728	14753	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-102219	2762834	3.9
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2021 წ.			
დირექტორი _____	მალხაზ ტვილდიანი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "შვიდი ვაინ"			
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2020	2019	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-1148766	576252	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-116557	-18208	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	123216	-771746	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-1142107	-213702	
სავალუტო კურსის ეფექტი	6598	-3279	
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1671484	1888465	
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	535975	1671484	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2021 წ.			
დირექტორი _____	მალხაზ ტვილდიანი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი ვაინ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 30 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405130889, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქ. N 12. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან შპს „შვიდი“ (ს/კ 211371638) - 85% და საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი მიხეილ მესხი (პ/ნ 01024021384) - 15%.

1.3. კომპანიის დირექტორია მალხაზ ტვილდიანი (პ/ნ 5300100389).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ყურძნისა და ღვინის დასამუშავებელი მასალების იმპორტი და რეალიზაცია.

1.5. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით, კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა შეადგენდა 19 კაცს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი **მსს ფასს**.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების

საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური

მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამოძეგვების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. მარაგები:

კომპანიის მარაგები 2020 წლის ბოლოს შედგებოდა:

შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი საქონელი (დამხმარე მასალები და ინვენტარი მეღვინეობისა და მევენახეობისათვის) - 2236730 ლარი;

სარეკლამო მასალები - 1125 ლარი;

საწვავ-საცხები მასალები - 889 ლარი.

სულ: **2238744 ლარი.**

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოფასება არ მომხდარა, რადგან კომპანია მიიჩნევს, რომ მისი ყველა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა 2020 წლის ბოლოს ლიკვიდურია (რეალიზებადია) თვითღირებულებაზე არანაკლებ ფასად.

3.2. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. 2020 წელს, ძირითადი საშუალება არ გაყიდულა, შეძენილ იქნა 119100 ლარის ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებების ისტორიული (თავდაპირველი) ღირებულება შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 161153 ლარი;

2019 წლის ბოლოს - 42052 ლარი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 20013 ლარი;

2019 წლის ბოლოს - 10315 ლარი.

შესაბამისად, სულ 2020 წლის განმავლობაში დარიცხულმა ძირითადი საშუალებების ცვეთამ შეადგინა 9698 ლარი.

3.3. სავაჭრო ვალდებულებები:

31.12.2020 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 49 რეზიდენტი მიმწოდებლისა და 14 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე, რაც ჯამში შეადგენდა 1617906 ლარს, მათ შორის:

დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების წინაშე - 109553 ლარი;

დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების წინაშე - 1508353 ლარი (374901.30 ევრო და 4 აშშ დოლარი).

3.4. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

2020 წლის ბოლოს, კომპანიის ვალდებულება დაქირავებულ თანამშრომელთა წინაშე შეადგენდა 2692 ლარს, როელიც მთლიანად იყო მათი სავალდებულო საპენსიო შენატანების გადახდის ვალდებულება საპენსიო სააგენტოში.

3.5. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

2019-2020 წლებში, კომპანია სარგებლობდა „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხებით. 31.12.2020 წ. მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე სასესხო დავალიანება „თიბისი ბანკის“ მიმართ შეადგენდა 931155 ლარს (150000 EUR და 100000 USD).

3.6. სხვა ვალდებულებები:

31.12.2019 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა გასაცემი დივიდენდის ვალდებულება მისი პარტნიორის - შპს „შვიდის“ წინაშე 1500000 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოიშვა 2018-2019 წლების მოგების განაწილებიდან. იგივე სახის დავალიანება მეორე პარტნიორის - მიხეილ მესხის მიმართ იმ ნაწილში, რაც შეესაბამება გამოცხადებულ დივიდენდებს (ანუ, იმ მოგებას, რაც განაწილდა), გაცემულია.

3.7. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2020 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგები შედგებოდა:

მელვინეობა-მევენახეობისათვის განკუთვნილი საქონლის (მასალებისა და ინვენტარის) გაყიდვიდან მიღებული - 6445603 ლარი;

ფართის ქვეიჯარის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი - 1068 ლარი.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულებამ 4837911 ლარი შეადგინა, რაც დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა ხელფასების, იჯარის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

2020 წელს, კომპანიის ადმინისტრაციულმა და სხვა საოპერაციო ხარჯებმა (გარდა ხელფასების, იჯარის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა) შეადგინა 90713 ლარი, მათ შორის:

დამხმარე მასალების დანახარჯები / შეძენა	2324.00
საწარმოო დანიშნულების რემონტის ხარჯები	6394.00
რეკლამის ხარჯები	4325
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	919
მიწოდების სხვა ხარჯები	150
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	415
მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები	1766
საკანცელარიო ხარჯები	1606
კომპიუტერის ხარჯები	4143
დაცვის ხარჯები	2370
კომუნიკაციის ხარჯები	128
დაზღვევის ხარჯები	2077
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	6850
საკონსულტაციო, სხვადასხვა მომსახურების და აუდიტის ხარჯები	8321
უიმედო და საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	10059
საგადასახადო ხარჯები	314
საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)	27651
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები (გარდა ავტომანქანებისა)	98
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	1094
წარმომადგენლობითი ხარჯები	434
საქველმოქმედო ხარჯები	5882
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	3393
სულ:	90713

3.9. საკუთარი კაპიტალი:

2020 წელს კომპანიის პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება 2018-2019 წლებში მიღებული მოგების განაწილების შესახებ 2000000 ლარის ოდენობით. ამ თანხიდან გაიცა 500000 ლარი, ასევე გაიცა წინა 2019 წლიდან გადმოსული დივიდენდის დავალიანება 78000 ლარი. მათ შორის, პარტნიორი ფიზიკური პირის წინაშე დივიდენდის გაცემის ვალდებულება დაფარულია სრულად. შესაბამისად, 2020 წელს კომპანიას წარმოეშვა მოგების გადასახადის ხარჯი, რამაც 52941 ლარი შეადგინა.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილია გასაცემი დივიდენდის ვალდებულება მხოლოდ პარტნიორი იურიდიული პირის წინაშე.

3.9. სასამართლო დავები:

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2021 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება

გაგრძელდა 2021 წელსაც. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, კომპანიას ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2021 წლის 1 იანვრიდან 28 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 28 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.


საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	6446671	7232138	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	6445603	7198824	
- მომსახურების გაწევიდან	1068	33314	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-4837911	-5369222	3.7
საერთო მოგება	1608760	1862916	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.8
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1798056	-426420	
ცვეთა და ამორტიზაცია	-10401	-5103	
საპროცენტო შემოსავალი	2543	3432	
საპროცენტო ხარჯი	-24361	-7297	
იჯარის ხარჯი	-116323	-88293	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-90713	-103451	
სულ საოპერაციო ხარჯები	-2037311	-627132	
საოპერაციო მოგება	-428551	1235784	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-455569	-48720	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	72736	17273	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-811384	1204337	3.9
მოგების გადასახადის ხარჯი	-52941	-16165	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-864325	1188172	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-864325	1188172	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2762834	2360030	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2000000	-800121	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-728	14753	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-102219	2762834	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2021 წ.

დირექტორი



მალხაზ ტვილიძანი


თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	535975	1671484	1888465	
სავაჭრო მოთხოვნები	1123491	1273758	1110917	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	12062	37860	33271	
მარაგები	2238744	2174868	1211540	3.1
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	2238744	2174868	1211540	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	637	91839	5708	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	176	880	1584	
მირითადი საშუალებები	141140	31737	14624	3.2
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	4052225	5282426	4266109	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	1617906	2222966	1612959	3.3
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2692	7782		3.4
საგადასახადო ვალდებულებები	672	37901	23070	
გამოუბრუნებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	102019	52199		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	931155	120744		3.5
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	1500000	78000	270050	3.6
სულ ვალდებულებები	4154444	2519592	1906079	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-102219	2762834	2360030	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	-102219	2762834	2360030	3.9
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4052225	5282426	4266109	
მოკლევადიანი აქტივები, სულ:	1672165	3074941	3038361	
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	4154444	2519592	1906079	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2021 წ.

დირექტორი  მალხაზ ტვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "შვიდი ვაინ"


ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-1148766	576252
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-116557	-18208
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	123216	-771746
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-1142107	-213702
სავალუტო კურსის ეფექტი	6598	-3279
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1671484	1888465
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	535975	1671484

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2021 წ.

დირექტორი



მალხაზ ტვილდიანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.